ხელშეკრულება

ქ.თბილისი

30 სექტემბერი

ქალაქ თბილისში, კრწანისი-შინდისის დამაკავშირებელი გზის მშენებლობის უზრუნველსაყოფად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, შპს "ემ.ჯი. ალიანსისა" (ს.კ.406175758) და შპს „ჯეუ გრუპი"-ს (ს.კ.205251537) მიერ ცალკეული ღონისძიებების განხორციელების თაობაზე

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში - „მერია") წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის დავით ნარმანიას სახით, მეორეს მხრივ შპს „ემ.ჯი. ალიანსი" (შემდგომში - „კომპანია"; ს/კ 406175758) წარმოდგენილი მისი დირექტორის ზაზა იჩქიტიძის სახით და მესამეს მხრივ შპს „ჯეუ გრუპი" (შემდგომში - „შემსრულებელი" (ს/კ 205251537) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო კიკაბიძის სახით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 31 აგვისტოს №34.30.759 განკარგულებისა და 2016 წლის 30 სექტემბრის №39.01.834 განკარგულების საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქალაქ თბილისში, ნარიმანოვის ქუჩა №12-ში მდებარე № 01.18.01.002.020. საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ სერვიტუტის უფლებით დატვირთვა დანართი 1-ისა და დანართი 2-ის შესაბამისად, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1 მერია ვალდებულია:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ჯეუ გრუპს" (ს/კ 205251537) შორის 2016 წლის 18 აპრილს გაფორმებული №01.01.01/10/226 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების ფარგლებში, უზრუნველყოს ხელშეკრულების დანართი 1-ითა და დანართი 2-ით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე გზის მოწყობის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

2.2 შემსრულებელი ვალდებულია:

2.2.1 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ჯეუ გრუპს" (ს/კ 205251537) შორის 2016 წლის 18 აპრილს გაფორმებული №01.01.01/10/226 სახელმწიფო შესყიდვების

ხელშეკრულების ფარგლებში, უზრუნველყოს ხელშეკრულების დანართი 1-ითა და დანართი 2-ით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე გზის მოწყობა.

2.2.2 მშენებლობა განახორციელოს მერიასა და კომპანიას შორის შეთანხმებული ტრაექტორიის შესაბამისად.

2.3 კომპანია ვალდებულია:

ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს მის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, ნარიმანოვის ქუჩა №12-ში მდებარე № 01.18.01.002.020. საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილის 287, 69 მ² და 242,96 მ² ფართის სერვიტუტით დატვირთვა, მისი სამომავლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართვის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადმოცემის მიზნით დანართი 1-ისა და დანართი 2-ის შესაბამისად.

2.4 მერია უფლებამოსილია:

2.4.1 შემსრულებლისაგან ეტაპობრივად მოითხოვოს ინფორმაცია ამავე ხელშეკრულების 2.2.1 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესახებ.

2.4.2 კომპანიისაგან მოითხოვოს ინფორმაცია ამავე ხელშეკრულების 2.3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესახებ.

2.5 შემსრულებელი უფლებამოსილია:

2.5.1 მერიისაგან მოითხოვოს ამავე ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება.

2.5.2 ხელშეკრულების 2.2.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, მოითხოვოს მერიასა და კომპანიას შორის შეთანხმებული ტრაექტორიის მიწოდება, შესაბამის საპროექტო დოკუმენტაციაში ასახვის გზით.

3. მხარეთა პასუხისმგებლობა

3.1. ხელშეკრულების 2.3. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში კომპანიას დაეკისრება პირგასამტეხლო, ერთჯერადად 100 (ასი) ლარის ოდენობით.

3.2. ხელშეკრულების 2.2.2. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში შემსრულებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, პირგასამტეხლო, ერთჯერადად 100 (ასი) ლარის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.



3.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ვალდებულების შესრულებისგან.

4. ფორს-მაჟორი

4.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

4.2 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული მერიის, კომპანიის და/ან შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მოწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

4.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნება ფორსმაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

4.4 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტი ვადით, მხარეებს უფლება აქვთ, შეწყვიტონ ხელშეკრულება ურთიერთშეთანხმებით.

4.5 შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების არაუზრუნველყოფა შესრულება/შეუსრულებლობა არ წარმოშობს კომპანიის უფლებას მოითხოვოს მერიის სასარგებლოდ, სერვიტუტით დატვირთული უძრავი ქონების ღირებულების ანაზღაურება.

5. სადავო საკითხების გადაწყვეტა:

5.1 მერია, კომპანია და შემსრულებელი უნდა ეცადონ შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და წარმოქმნილი დავა ხელშეკრულების ირგვლივ.

5.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში მერია, კომპანია და შემსრულებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებით მოგვარებას,



ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

6. სხვა პირობები:

6.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.


6.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

6.3 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

6.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

6.5 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

მერია	კომპანია	შემსრულებელი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია დაჭერ ნარმანია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია მის: ქ.თბილისი, ჟ.შარტავას ქ.№7 ს/კ 204521794	შპს „ემ.ჯი. ალიანსი"-ს დირექტორი ნათია იჩეტიძე შპს „ემ.ჯი. ალიანსი" მის: ქ.თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ორთაჭალის ქ. №77, ბ.18 ს/კ 406175758	შპს „ჯეუ გრუპი"-ს დირექტორი წინო კუპრაძე შპს „ჯეუ გრუპი" მის: ქ.თბილისი, ჟ.შარტავას ქ.№6, ბ.83 ს/კ 205251537


დანართი 1
01.18.01.002.021
01.18.01.002.020
01.18.01.002.001
287.69 მ²

დანართი 2

